



Tempus



Development of International Model for Curricular Reform  
in Multicultural Education and Cultural Diversity Training



### თამთა მაზანიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის  
მეოთხე კურსის სტუდენტი  
პროექტ „DOIT“-მონაწილე

## წეროვანის სკოლა, დევნილები ცხინვალის რეგიონიდან

2009 წლის პირველ სექტემბერს წეროვანის მე-3 საჯარო სკოლამ დაიწყო ფუნქციონირება 904 ბავშვით. ბავშვები, რომლებიც დევნილები გახდნენ საკუთარ ქვეყანაში, მოუწიათ საკუთარი სახლის და ოჯახის წევრების დატოვება. მათ ყველაზე მძაფრად განიცადეს 2008 წლის ომი და განიცდიან დღემდე. მათი ყოველდღიური ცხოვრება გაჯერებულია ტკივილით, სევდით და დაბრუნების სურვილით. ძნელია ისაუბრო და გადმოსცე რას გრძნობენ და განიცდიან ისინი. მე შევეცდები დაგანახოთ მათი ყოფა, როგორ ცხოვრობენ ისინი დღეს და როგორ ცხოვრობდნენ ისინი ომამდე.

წეროვანი დევნილების დასახლება, სადაც დგას 2002 ერთნაირი სახლი, სადაც გაერთიანებულია ქსნის, დიდი და პატარა ლიახვის სამი ხეობა, სადაც ყოველი დღე ერთნაირი და მოსაწყენია, იქ სადაც ადამიანები საერთო ტკივილით არიან გაერთიანებულები და ამ ტკივილის მეტი მათ, საერთო არაფერი აღარ დარჩენიათ. იქ, ადამიანები საკუთარ სახლებში არიან შეყუჟულები და ოცნებობენ დაბრუნებაზე, სადაც ადამიანებს შორის სულ უფრო და უფრო ცივდება ურთიერთობა, ადამიანები განიცდიან

კომუნიკაციის ნაკლებობას და გვერდში თანადგომას, იქ სადაც ერთფეროვნებას ღრმად გაუდგია ფესვები და წამლავს ადამიანების ცხოვრებას და უკარგავს მათ სიცოცხლის სურვილს. აი, რას წერს ადამიანი, რომელიც პირველად ჩავიდა წეროვანში:

„წეროვანი ერთი ჩვეულებრივი სოფელი იყო საქართველოში, მანამ, სანამ 2008 წლის შემდეგ ჭაობი არ დააშრეს, ერთმანეთის მიყოლებით ერთ მწკრივად, ერთნაირი სახლები არ დადგეს და წეროვნის დასახლება არ უწოდეს. ახლა, უკვე, წეროვნის გაგონებისას ეს „კუბიკებივით“ ჩადგმული სახლების რიგები მახსენდება.



იქ მცხოვრები ხალხი მახსენდება, რომლებიც საკუთარი სახლების დატოვებას ყველაზე მეტად განიცდიან, იმაზე 100-ჯერ მეტად, ვიდრე ეს ჩვენ შეგვიძლია! როდესაც პირველად იქ ჩავედი, ყველაზე მეტად, რაც თვალში მომხვდა, ეს იყო უსახელო ქუჩების რიგი 1, 2, 3... თავი ტყვეთა ბანაკში მეგონა, სადაც ადამიანები არა, მაგრამ სახლები დანომრილები იყო და სახელებს არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მეორე ეს იყო, ფერები და სიცივე. სიცივე გამოწვეული მწვანე ფერისა და მაღალი ხეების არარსებობით.“ (მარიამ ხუციანიძე).

ყველაზე მეტად კი ამ ყველაფერს ბავშვები განიცდიან, ბავშვები, როლებიც სიცოცხლის სურვილით არიან სავსე და სურთ, რომ მათი ცხოვრება იყოს ფერადი და ლამაზი, რომელთაც სჯერათ, რომ მათ შეუძლიათ ყველაფერი შეცვალონ უკეთესობისაკენ, მაგრამ მათი ყოველდღიური ცხოვრება იმდენად მოსაწყენი და ერთფეროვანია, რომ ყველაფრის ხალისი ეკარგებათ. მე-12 კლასის მოსაწავლემ, სერგიმ ჩვენთან საუბრის დროს განაცხადა, რომ ეს დამანგრეველად მოქმედებს მათი ფანტაზიის უნარზე... ეს სიცარიელესულს გვიცარიელებს და ფანტაზიის უნარს გვაკარგინებს, ის სითბო დავკარგეთ, რასაც მეგობრები ერთმანეთის მიმართ ვგრძნობდით. მას შემდეგ, როცა იხსენებ, როგორ ვიკრიბებოდით ყველანი ერთად, მდინარის პირასხის

ჩრდილში და სხვადასხვა საინტერესო თემებზე ვსაუბრობდით,ეს ყველაფერი გულს გტკენს,ვხვდები,რომ გაცივდა ადამიანებს შორის ურთიერთობა“.

ადამიანებს შორის,რომ გაცივდა ურთიერთობა,ამას როგორც პატარები ასევე დიდებიც ამჩნევენ..ერთ-ერთმა დევნილმა ჩემთან საუბრის დროს აღნიშნა,რომ ეს გაცივება გამოწვეულია აქ ცხოვრებით. აქ ადამიანები ყოველდღე იმაზე ფიქრობენ,როგორ არჩინონ ოჯახი.“ყველა სახლშია და ტელევიზორს უყურებს,ანდა გარეთ რისთვის გავიდეთ,როცა ყველაფერი ერთნაირია.ადრე მდინარეზე მაინც მივდიოდით სათევზაოდ,ან ბირჟაზე გახვიდოდი,ან სახლში შემოვიდოდნენ,ეზოში დადგებოდი და ილაპარაკებდი,აქ კი, ადგილიც არ გაქვს სახლში,ვინმე რომ მოვიდეს...”

საინტერესოა როგორ ცხოვრობდნენ ისინი,სანამ დევნილები გახდებოდნენ.ასევე სინტერესოა მათი დამოკიდებულება ოსების მიმართ და ზოგადად უცხოს მიმართ.აირას ყვებიან ისინი:

არასდროს არ ყოფილა გამოყოფილი ესე,რომ ის ოსია,არც კონფლიქტი მახსენდება ქართველებს და ოსებს შორის,მათ შორის ყოველთვის იყო მეგობრული დამოკიდებულება,ვერც აღიქვამდი,რომ ისინი ოსები იყვნენ,ისინი ჩვენთვის იყვნენ ქართველები,მათთან ერთად ავლნიშნავდით საერო და საეკლესიო დღესასწაულებს.

ახალგორში,ოქტომბრის პირველ შაბათს,იმართებოდა საერო დღესასწაული ერისთავობა,სადაც ეწყობოდა სახალხო ზეიმი,იმართებოდა ჭიდაობა,დოლი, კონცერტი,რომელსაც ყველანი ერთად აღნიშნავდნენ.როგორც მათ მითხრეს,წეროვანშიც იმართება ეს დღესასწაული,მაგრამ ისეთი არ არის,როგორც ადრე.ასევე იყო საეკლესიო დღესასწაულები,ამაღლება,ლომისობა,რომლის დროსაც ისინი ერთად იკრიბებოდნენ,მიდიდოდნენ სალოცავში და ზეიმობდნენ ამ დღესასწაულებს.

საინტერესოა ასევე ის ფაქტი,რომ დღეს, ახალგორში,ოკუპირებულ ტერიტორიაზექართველები და რუსებიუფრო კარგად ეწყობიან ერთმანეთს,ვიდრე ოსები და რუსები,როგორც ერთ-ერთი დევნილი ამბობს,ისინი განცვიფრებულები არიან ქართველებით,“რა კარგი ადამიანები ყოფილხართ და რას გერჩიან,რა უნდათ

თქვენგანო!“ ისინი კარგად ხვდებიან ყველაფერს, რომ ეს არასწორი პოლიტიკაა და რომ ადამიანები ეწირებიან ამ პოლიტიკას, თუმცა ისინი იმას აკეთებენ რასაც უბრძანებენ. ჩემს კითხვაზე თუ როგორ ცხოვრობენ ქართველები ახალგორში, მიპასუხა, რომ ძალიან მშვიდად, ისინი არაფერს ერჩიან მოსახლეობას, სკოლებში კი მიმდინარეობს სწავლა, როგორ რუსულად, ასევე ქართულად.

სკოლა, მეცადინეობა, თავისუფალი დროის მეგობრებთან ერთად გატარება, მივდიოდით მდინარეზე, იქიდან გზად პარკში შევივლიდით ხოლმე, მოკლედ ათასი გასართობი საშუალება იყო... აქ კი, ვერაფერს გააკეთებ სინტერესოს, ძირითადად ერთმანეთის სახლში მივდივართ და ვერთობით. აქ მართლა არაფერია იმისთვის, რომ რაიმე გააკეთო, ბავშვები გასართობად თბილისში დადიან. ბიჭებისთვის ერთადერთი გასართობი საშუალება სტადიონია, სადაც ისინი ფეხბურთს თამაშობენ, გოგოებისთვის კი საერთოდ არაფერია, პარკიც არ არის, რომ გახვიდე და ისეირნო...

ეს არასრული ჩამონათვალია იმის რასაც ისინი ყვებიან. ვერც დიდები და ვერც პატარები ვერ იხსენებენ ოსებთან კონფლიქტს, მაგრამ დღეს უკვე ოსთან ასოცირდება ომი, უარყოფითი თვისებები, თუმცა ბავშვები ასევე აღნიშნავენ, რომ ისეთი ოსი მეგობრებიც ყავთ, რომლებიც ქართველებს და საქართველოს არაფერს ერჩიან, მათთვის ისინი ჩვეულებრივად ქართველები არიან.

როგორც სკოლის დირექტორი და ასევე ბავშვები აღნიშნავენ, უყურადღებოდ არ არიან. თუმცა ბავშვებმა ისიც თქვეს, გამაღიზიანებელია ისეთი ყურადღება, რომელიც შეცოდებას უფრო ჰგავს, ვიდრე თანადგომას, გარდა ამისა, მარტო ჩვენ არ ვართ, ვისაც დახმარება ჭირდება. სერგის ყველაზე მეტად ის დღე ახსოვს, როდესაც თბილისში ექსკურსიაზე იყვნენ, დაათვალიერეს მთელი თბილისი, ყველა ეკლესია და პატრიარქსაც შეხვდნენ. სერგიმ თქვა, რომ ეს დღე არასდროს დაავიწყდება, რადგან გარემო შეიცვალეს. „ხშირად ჩამოდიან აქ და სხვადასხვა ტრენინგებს ატარებენ, ჰგონიათ საინტერესოა ჩვენთვის, თუ აქ ჩამოვლენ და სხვადასხვა თემაზე გვესაუბრებიან. ექსკურსია იმიტომ დაგვამახსოვრდა, რომ ჩვენ შევიცვალეთ გარემო და უფრო გავიხსენით ბავშვებთან ურთიერთობაში. ჩვენ გვჭირდება მრავალფეროვნება, ადგილის

შეცვლა, გვიჩვენია აქედან სადმე წაგვიყვანონ და იქ ჩაგვიტარონ ტრენინგები, ვიდრე აქ. აბა, წარმოდგინე ჩვენს ადგილას თავი, როდესაც ყოველივე ერთნაირია და ვერაფერს ცვლი...”

ეს მართლაც საშინელებაა. მე ვიცი, როგორ ცხოვრობდნენ ისინი, სანამ დევნილები გახდოდნენ, ვიცი რას გულისხმობენ, როცა ამბობენ, რომ ფანტაზიის განვითარების საშუალება არ აქვთ. ვიცი იქ დაბადებული და გაზრდილი ადამიანებისთვის რა ძნელია წეროვანში ცხოვრება, იქ ხომ ბუნება თავისი სილამაზით და სიძლიერით მერწავდა ადამიანებს და ასწავლიდა სიყვარულს. ყველანაირ პირობას უქმნიდა მათ ფანტაზიის განვითარებისთვის. მაშინ ყოველი დღის გათენება გიხაროდა, მახსოვს რამდენჯერ მინატრია ღამით, ნეტავ ქსანი ცოტახნით დადუმდეს და დამაძინოს - თქო. ახლა კი მისი ხმა მენატრება... ყველაფერი მენატრება... მდინარის ხმაური და სიცოხლით სავსე ხალხი... ყოველი ჩემი ჩასვლა წეროვანში, ჭრილობის ახლიდან განახლებას გავს, ამას ვამბობ მე, ვინც მხოლოდ ზაფხულობით ჩავდიოდი დასასვენებლად და წარმომიდგენიარამდენად დიდია მათი ტკივილი, ვინც იქ ცხოვრობდა. ერთი რამ კი ცხადია, მათი დახმარება რომ შევძლოთ უნდა ვიგრძნოთ რას განიცდიან ისინი, გავეცნოთ კარგად მათ ცხოვრებას და ვიმოქმედოთ მათი და არა ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე. მათ ჭირდებათ გვერდში დგომა და არა შეცოდება, რადგან შეცოდება არაფრის მაქნისია, მაბავს ადამიანებს და ართულებს მათთან ურთიერთობას.

